დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ცოტნე სამადაშვილი, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონული ცენტრი, საქართველო, ქუთაისი

წევრები:

გიორგი ჩილინგარაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.

ივანე აბიათარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ელენე ჩერქეზია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

თბილისი

2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი 237,
ვებ-გვერდი	Bauinternational.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	05.02.2015, N2
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	05.02.2021

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	1
ბაკალავრიატი	-
მაგისტრატურა	-
ერთსაფეხურიანი	1
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	1
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	1

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	58	70	
ბაკალავრიატი	0	0	
მაგისტრატურა	0	0	
ერთსაფეხურიანი	58	70	
დოქტორანტურა	0	0	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	0	0	

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3[48] პუნქტში

ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	0	0	
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	46	70	
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	18 - დაწესებულებისგან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით 10- რეესტრის მონაცემებით
- პროფესორი	
- ასოცირებული პროფესორი	
- ასისტენტ პროფესორი	
- ასისტენტი	
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	9 - დაწესებულებისგან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით 4 - რეესტრის მონაცემებით
- აფილირებული პროფესორი	
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტი	
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	65 - დაწესებულებისგან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით 17 - რეესტრის მონაცემებით
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3027 კვ.მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

უსდ მიერ მოწოდებული იყო დიდი მოცულობის დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავდა სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას უნივერსიტეტის შესახებ, როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოხდა შეკითხვების ფორმულირება, რათა გამარტივებულიყო ინსტიტუციის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრა. ასევე სამუშაო პროცესში უსდ მიერ დამატებით საჭიროებისამებრ მოწოდებული იყო სათანადო დოკუმენტაცია.
20 და 21 ნოემბერს ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფს შეხვედრები ქონდა უნივერსიტეტის სხვადასხვა ტიპის თანამშრომლებთან, აკადემიურ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, ასვე დაინტერესებულ პირთა მხარეებთან, ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა როგორც უსდ ინფრასტრუქტურა, ასევე კლინიკური ბაზები: კლინიკა მედინა, მეზღვაურთა ჰოსპიტალი.
მონიტორინგის პროცესმა ჩაიარა მშვიდ ატმოსფეროში.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესრულებისთვის საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მითითება;
- შეიქმნას ეთიკის კოდექსი უნივერსიტეტის პერსონალისთვის;
- რეკომენდირებულია აკადემიური/საგამოცდო პერსონალის გადამზადება OSCE-ის გამოცდის მომზადება/ჩატარებაში;
- რეკომენდირებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს უნივეერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობაზე საზღვარგარეთ.
- რეკომენდირებულია, რომ უსდმ მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ჯამური ანგარიშები.
- რეკომენდებულია სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოებისათვის გარე სამეთვალყურეო სისტემის მოწესრიგება, ის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს.
- უსდ ამ ეტაპზე არ აქვს სათანადო მოტხოვნების გათვალისწინებით აღჭურვილი OSCE საგამოცდო სადგურები, რაც მოთხოვნების შესაბამისად უნდა არსებობდეს.
- მართვის ელექტრონული სისტემის გამართვა, რაც ინფორმაციის მართვას უფრო ეფექტურს და გამჭვირვალეს გახდის.
- ინფორმაციის შნახვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირებისაგან ვერ იქნა მიღებული დამაჯერებელი ინფორმაცია, ამ სისტემების დაცულ მუშაობასთან დაკავშირებით.
- ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა დასახვეწია, გამჭვირვალეობის თვალთახედვით.

რჩევები

- სასურველია სამოქმედო გეგმაში კონკრეტული ამოცანების გაწერისას სამიზნე რიცხობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების მითითება;
- სასურველია სამოქმედო გეგმაში კონკრეტული ამოცანების გაწერისას სამიზნე რიცხობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების მითითება;
- სასურველია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობა გამოცდების გასაჩივრების წესებთან დაკავშირებით;
- უმჯობესი იქნებოდა აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურაში აკადემიურ საბჭოს მეტი უფლება ქონდეს, ვიდრე რექტორის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას.
- უკეთესი იქნებოდა გადაიხედოს ცხრილი რათა სტუდენტებს ქონდეთ საკმარისი დრო დასვენებისა და სწავლისთვის.
- შეეცადოს ეტაპობრივად გაზარდოს სამეცნიერო კოლაბორაცია ნაციონალურ და ინტერნაციონალურ დონეზე.
- მიუხედავად იმისა, რომ პოლიპროფილური კლინიკა, გადაუდებელი მიმღებით ფაქტიურად იგივე სივრცეშია, უმჯობესია უსდ ქონდეს შესაბამისი მოთხოვნებით გამართული ექიმის კაბინეტი.

- სასურველია კვლევითი მიმართულებების/ერთეულების ჩამოყალიბება უნვიერსიტეტში და მათი შეფასების მექანიზმების შემუშავება სამეცნიერო აქტივობის, ხარისხის და ხარჯეფექტურობის თვალსაზრისით.

საუკეთესო პრაქტიკა

- უსდ ნერგავს გვამის სექციის კურსს, რაც თავის მხრივ საქართველოს რეალობისთვის ერთადერთია ამ ეტაპზე.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒		☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ცოტნე სამადაშვილი (თავმჯდომარე)

2. ივანე აბიათარი (წევრი)

3. ელენე ჩერქეზია (წევრი)

4. გიორგი ჩილინგარაშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ -ს მიერ განცხადებული მისია ერთის მხრივ ასახავს კონკრეტული უნივერსიტეტის ხედვას თავის როლზე საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში, მეორეს მხრივ, ის იზიარებს ბაუ გლობალ საგანმანათლებლო ქსელის ხედვას საერთაშორისო მასშტაბით. კერძოდ, ბაუ საერთაშორისო უნივერიტეტის მისიაა: „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკის შექმნა და განხორციელება; მაღალზნეობრივი სტანდარტების, კვალიფიციური, მეცნიერული ხედვითა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცოდნით აღჭურვილი, ლიბერალური ღირებულებების მქონე კადრების მომზადება, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე“. შესაბამისად, უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ის „მხარს უჭერს გლობალურ ხედვას, რომელიც სცდება პოლიტიკურ და კულტურულ საზღვრებს და აფასებს ადამიანის ღირსებას, საყოველთაო უფლებებსა და თავისუფლებებს განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, აღმსარებლობის ან რელიგიისა“, ხელს უწყობს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ინტეგრაციას მსოფლიო საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში და მთავარ მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებას და ფართო ჰორიზონტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაირკვა, რომ უნივერსიტეტის მისია ცნობილია და გაზიარებულია უნივერსიტეტის მართველი, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მიერ. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ძირითადი მიზნები და ამოცანები უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა ატვირთული და, ამრიგად, ფართო საზოგადოებისთვისაცაა მისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მისია ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად ასახავს უნივერსიტეტის სპეციფიკას და მისი საქმიანობის პროფილს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2019 წლის 02 აპრილის #5 დადგენილებით (# დანართი 1-2) • http://bauinternational.edu.ge/ge/about-us/mission-and-visionშეხვედრა რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთ პარტნიორთა კრების წარმომადგენელთან, აკადემიური საბჭოს წევრებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:
რჩევები: • სასურველია, უნივერსიტეტის მისიის იმგვარი ფორმულირება, რომ მან მეტად ასახოს უნივერსიტეტის სპეციფიკა და ძირითადი საქმიანობის პროფილი.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2018-2024) შემუშავებულია უნივერსიტეტის მისიასთან თანხვედრაში. მასში ნათლად არის ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის მთავარი მიზნები; გამოკვეთილია სტრატეგიული მიმართულებები (1.სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის განვითარება; 2. ორგანიზაციული განვითარება; 3. ინფრასტრუქტურის განვითარება); დასახულია ამოცანები, შემოთავაზებულია მათი შესრულების კონკრეტული გზები და შესრულების ვადები; გაწერილია ჩასატარებელი ღონისძიებები; შემუშავებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმი ანგარიშგების საფუძველზე. დადებით მხარედ მიგვაჩნია უნივერსიტეტის მიერ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად სამეცნიერო მიმართულების განვითარებაზე ორიენტაცია და ამასთან დაკავშირებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და კვლევითი პროექტების ინიცირება.

აღსანიშნავია სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის დიზაინი, რომელიც მას სტრუქტურირებულად და ადვილად წასაკითხს ქმნის.

წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლიდანაც ირკვევა, რომ სტრატეგიის შექმნაში და შედეგების მონიტორინგში ჩართულია სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს რექტორი და რომლის შემადგენლობაში შედის ადმინისტრაციისა და საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სტუდენტები და დამსაქმებლები, რაც დამტკიცდა ჩატარებული შეხვედრების დროს. სტრატეგიული დაგეგმარება ითვალისწინებს უნივერსიტეტის შიდა SWOT ანალიზის შედეგებს. ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი ზოგიერთი ამოცანა დროულად არ არის შესრულებული (მაგალითად, არ შექმნილა ხარისხის მართვის ერთიანი კომპლექსური სახელმძღვანელო (შესრულების პერიოდი - 2018-2019). აღსანიშნავია, რომ ამოცანის დროულად არშესრულების შემთხვევაში ხდება სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ჯგუფის სათანადო რეაგირება და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის კორექტირებ. მონიტორიგისა და შეფასების გეგმაში აღწერილი შესრულების ინდიკატორების შეფასება მეტწილად ხარისხობრივია და ნაკლებად მოიცავს რაოდენობრივ კომპონენტს.

სტრატეგიულ გეგმასთან თანხვედრაშია შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“

2018-2020 წწ სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული მიმართულებების განვითარებისთვის განსახორციელებელ აქტივობებს, შესრულების ვადებს, პასუხისმგებელ ერთეულებს, თუმცა სასურველი იქნებოდა სამოქმედო გეგმაში სამიზნე რიცხობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების მითითება, რაც ხელს უწყობს ამოცანების შესრულების და განვითარების დინამიკის ობიექტურ შეფასებას. ასევე რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მითითება (შესაბამისი ინფორმაცია რიგ შემთხვევაში მოცემულია უნივერსიტეტის სამსახურების/ერთეულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში), რაც დასახული ამოცანების მიღწევადობის შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ჩართულია საზოგადოების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში (უნივერსიტეტის სტუდენტების ვიზიტი ფერიას ბავშთა სახლში (იანვარი, 2019); უპატრონო ცხოველების დროებითი თავშესაფრის მოწყობა (მარტი, 2019), თუმცა შესაძლებელია უფრო ფართო ჩართულობა აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მონაწილეობით საექსპერტო და საკონსულტაციო სამსახურის გაწევის კუთხით
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სასწავლო უნივერსიტეტის შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2019 წლის 02 აპრილის #5 დადგენილებით (# დანართი 1-2) • სამოქმედო გეგმა (# დანართი 2.3) • ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და ანგარიშები (# დანართი 6) • საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუცია (# დანართი 4) • ადგილზე ჩატარებული შეხვედრები
რეკომენდაციები: რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესრულებისთვის საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მითითება
რჩევები: სასურველია სამოქმედო გეგმაში კონკრეტული ამოცანების გაწერისას სამიზნე რიცხობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების მითითება
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
o უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. o უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. o უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. o უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზაცია დღევანდელი სახით და არსებულ პირობებში უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებისთვის დასახულ საქმიანობას. მოწოდებული დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მოვალეობა/ პასუხისმგებლობა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ხოლო ფუნქციები გამიჯნული. ზოგი ფუნქციის შესრულება ეკისრება გარე რესურსებს (დაცვის სამსახური; აუდიტი). აღსანიშნავია ადმინისტრაციული (10 ადამიანი) და აკადემიური (16 ადამიანი) პერსონალის სიმცირე, რაც გამართლებულია დღევანდელ პირობებში, თუმცა სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში (სტუდენტთა ზღვრული განცხადებული რაოდენობაა 350, თუმცა ეს ბევრად აღემატება სტუდენტების არსებულ რიცხვს (აქტიური სტუდენტების რაოდენობა 49) შესაძლებელია შეიქმნას პრობლემები სამენეჯმენტო და საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია და ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, სადაც შეფასებულია შესაძლო რისკები და შემუშავებულია რისკების მართვის მეთოდოლოგია.

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევა/დანიშვნა მიმდინარეობს გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პროცედურებით. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ აკადემიური საბჭოს დაკომპლექტების წესი არ ითვალისწინებს არჩევის/კონკურსის პროცედურას და აკადემიური საბჭოს წევრის სტატუსს ავტომატურად იღებს სრული, ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორის წოდების მქონე აკადემიური პერსონალი. მისასალმებელია, რომ აკადემიური საბჭოს წევრები იზიარებენ ექსპერტთა შეხედულებას, რომ უნივერსიტეტის გაფართოების შემთხვევაში აკადემიური საბჭოს კომპლექტაციის წესი უნდა შეიცვალოს.

საქმისწარმოებაში გამოიყენება OIS ელექტრონული სისტემა.

უნივერსიტეტი, როგორც ბაუ გლობალ საგანმანათლებლო ქსელის წევრი, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილავს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას. ის ხელს უწყობს სტუდენტების და პერსონალის მობილობას, ჩართულია ერთობლივი პროექტების შემუშავება/განხორციელებაში, რისი მაგალითიცაა Erasmus + პროექტი (ref N 609528-EPP-1-2019-I-GE-EPPKA2-CBHE-JP), სადაც უნივერსიტეტი პროექტის კოორდინატორია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის სტრუქტურა (# დანართი 7)
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები (# დანართი 8-9)
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (# დანართი13-14-15)
- უნივერსიტეტის საქმის წარმოების წესი (# დანართი 10)
- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა (# დანართი 11)
- მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები (# დანართი 52, 53-57)
- სტუდენტების და პერსონალის გაოკითხვა (# დანართი 18-27)
- შეხვედრები უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული და ის აქტიურად და რეგულარულად იყენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს პერსონალის მოღვაწეობის, ასევე სტუდენტების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა. ჩატარებულია შრომის ბაზრის კვლევა. კითხვარები იძლევა სხვადასხვა დონეზე შეფასებას, მაგალითად ფასდება უნივერსიტეტი, სასწავლო პროგრამა, სასწავლო კურსი/მოდული/ბლოკი, პედაგოგი, ადმინისტრაციის ერთეულების მოღვაწეობა, გაწეული სერვისები. სტუდენტების გამოკითხვის დროს დაცულია ანონიმურობის პრინციპი. მონიტორინგის შედეგები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის და დამხმარე სერვისების გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძვნება ინფრასტრუქტურულ და აკადემიურ რესურსს (ადმინისტრაციული რესურსი მეთოდოლოგიაში გათვალისწინებლი არ არის).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (# დანართი 17-19)
- სტუდენტთა გამოკითხვა (# დანართი 56)
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები (# დანართი 6-18-27-64)
- სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი (# დანართი 20-44)
- შეხვედრები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვულ პერსონალთან, დეკანთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
o უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. o უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. o უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ქცევისა და ეთიკის კოდექსი სტუდენტებისთვის, თუმცა არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტი პერსონალისთვის. აღსანიშნავია, რომ რთულია შევაფასოთ, თუ როგორ ხდება რეაგირება ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში, ვინაიდან ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. უნივერსიტეტს გააჩნია პლაგიატის თავიდან ასაცილებლად და პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო რეაგირების მექანიზმები. უნივერსიტეტი იყენებს Turnitin პლაგიარიზმის აღმოჩენის ტექნოლოგიას, თუმცა მისი კონკრეტული გამოყენების შემთხვევა არ არსებობს, ვინაიდან სტუდენტებს სამეცნიერო პროექტი ჯერ არ შეუსრულებიათ. უნივერსიტეტი იცავს აკადემიურ თავისუფლებას, რაც დეკლარირებულია უნივერსიტეტის მისიასა და დებულებაში. აკადემიური თავისუფლების პრინციპის დაცვის მნიშვნელობა ხაზგასმული იქნა აკადემიური საბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტუდენტთა ეთიკის კოდექსი (# დანართი 21) • პლაგიატის თავიდან არიდების, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი (# დანართი 22) • შეხვედრები პერსონალთან და სტუდენტებთან
რეკომენდაციები: შეიქმნას ეთიკის კოდექსი უნივერსიტეტის პერსონალისთვის
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ს აქვს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების და განვითარების პოლიტიკა, რომელიც აღწერილია დოკუმენტებში: 'საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა', 'პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები'. უსდ აღნიშნული დოკუმენტით ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, შემუშავების, დამტკიცების, მონიტორინგის და უწყვეტი გაუმჯობესების რეგულაციას. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რეგიონის პრიორიტეტებს და შრომის ბაზარს. პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევაზე, ისევე როგორც მკაფიოდ განსაზღვროს მისანიჭებელი კვალიფიკაცია. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დაფუძნებულია ხუთ კრიტერიუმზე: პროგრამის შეფასება, სწავლების მეთოდოლოგიისა და ორგანიზების, პროგრამის ათვისების შესაძლებლობის შეფასება, სტუდენტთა მიღწევების, მათთან ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობის შეფასება, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფის შეფასება, სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასება. თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხდება სხვადასხვა ინდიკატორებით. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და განვითარებისთვის გამოყენებულია სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაცია (უსდ-ში მოქმედ პროგრამას ამ დროისთვის არ ყავს კურსდამთავრებულები). ასევე უსდ ახდენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, პროგრამაში ჩართული პირების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ანალიზს,

უსდ-ში მოქმედებს ერთი პროგრამა (დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა), რომელიც ამჟამად გადის რეაკრედიტაციის პროცესს. მიმდინარე სასწავლო წლისთვის პროგრამის გადამუშავება მოხდა ახალი დარგობრივი მახასიათებლის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის დახვეწის პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენდნენ: პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი და გამოყენება ხორციელდებოდა ფაკულტეტის საბჭოს მიერ. უნივერსიტეტში ვიზიტისას გამოიკვეთა პერსონალის და დამსაქმებლების - რომლებსაც ძირითადად წარმოადგენდნენ აფილირებული კლინიკების ხელმძღვანელები, მაღალი ჩართულობა პროგრამის გადამუშავების პროცესში. ყველა დაინტერესებული მხარის მიერ აღინიშნა ბოლო რამდენიმე თვეში განხორციელებული სამუშაოს დიდი მოცულობა. უნივერსიტეტს ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წარმოდგენილია უცხოელი ექსპერტებით და წარმოადგენს ერთგვარ გარე შეფასების ინსტრუმენტს. აღნიშნულმა საბჭომ მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში წარმოადგინა 9 პუნქტიანი დასკვნა, რომელიც შეეხებოდა პროგრამის რევიზიას და ბაუ-ბათუმისა და პარტნიორი ბაუ-სტამბულის უნივერსიტეტების მედიცინის პროგრამებს შორის შესაბამისობის დადგენას. აღნიშნული მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება ასევე მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის ახალ რედაქციაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა;
- პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები;
- დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი და გამოკითხვის შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები და ხარისხის ანგარიში
- ინტერვიუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან / პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბაუ ბათუმის მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 12 ძირითად სწავლის შედეგს, რომლებიც კომპეტენციების სახით არის წარმდოგენილი. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ამასთანავე პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის კომპეტენციებს (პროგრამის სწავლის ზოგიერთი შედეგი კუმულაციური/გამსხვილებული ფორმით არის წარმოდგენილი და ფარავს დარგობრივი მახასიათებლის 13-ივე კომპეტენციას). ნარატივში აღნიშნულია, რომ პროგრამა ასევე შესაბამისობაშია თურქეთის სამედიცინო განათლების სტანდარტთან, კერძოდ პარტნიორი უნივერსიტეტის, ბაუ-სტამბულის კურიკულუმთან, რაც შესაძლებელს ხდის სტუდენტების ეფექტურ გაცვლას უნვიერსიტეტებს შორის. ბაუ-სტამბულის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია მედიცინის პროგრამის შესახებ, რომელიც მოიცავს 15 ძირითად სწავლის შედეგს. შეიძლება ითქვას, რომ ეს სწავლის შედეგები მოცულია ბაუ-ბათუმის მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების მიერ (შეესაბამება მას, მაგრამ არ არის მისი ზუსტი ანალოგი). ბაუ-სტამბულის და ბაუ-ბათუმის კურიკულუმების ზოგადი შედარება გვიჩვენებს გარკვეულ მსგავსებას, მაგალითად სასწავლო კურსების ინტეგრაციის ტიპი, ზოგიერთი სასწავლო მიმართლებების თანმიმდევრობა. თუმცა თვალში საცემია მნიშვნელოვანი განსხვავებები, როგორიცაა კრედიტების გადანაწილება, შეფასების სისტემები, არჩევითი კურსები, და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ბაუ-ბათუმის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი, მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა თურქულ უნივერსიტეტის პროგრამასთან, წარმოადგენს ქართული დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამის, მეტწილად ორიგინალურ დოკუმენტს.

პროგრამის ფარგლებში უსდ-ს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების რუკა რომელშიც განსაზღვრულია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების კრიტერიუმები. სწავლის შედეგების უდიდესი ნაწილის შეფასება ხდება პროგრამის დამამთავრებელ ეტაპზე, გამომდინარე აქედან შედეგების სრული ანალიზი შესაძლებელი იქნება სწავლების სრული ციკლის დასრულებისას მას შემდეგ რაც პროგრამას ეყოლება კურსდამთავრებულები.

პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში ასევე წარმოდგენილია კურსის სწავლის შედეგების რუკა. აღნიშნული დანართის მეშვეობით შესაძლებელია კურსის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა პროგრამის ძირითად დარგობრივ და ზოგად სწავლის შედეგებთან. ამას გარდა სილაბუსის ამ დანართში გარკვევით არის მითითებული თუ რომელი სწავლების ფორმებით/მეთოდებით ხდება ამ სწავლის შედეგების მიღწევა (ცოდნის, უნარების და დამოკიდებულებების დონეზე) და რომელი შეფასების მეთოდებით ხდება მათი შეფასება. აღნიშნული ფორმატი არის ინფორმატიული სტუდენტისთვის და გაუადვილებს ლექტორს სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ადექვატურად შემუშავებას.

უსდ-ს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა, რომლის მიზანს წარმოადგენს სტუდენტისთვის სწავლების უწყვეტობის უზრუნველყოფა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება ფაკულტეტის დეკანის მიერ სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, რომელშიც ჩართულია

სტუდენტი, პროგრამის ხელმძღვანელი და შესაბამისი პერსონალი/სამსახურები. შემუშავებული გეგმა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის ძირითად მიზნებს და სწავლის შედეგებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. უსდ-ში ვიზიტისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების გამოცდილება. რამდენიმე პრეცენდენტი აღინიშნა პერსონალთან/დეკანთან ინტერვიუს დროს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ძირითადად უკავშირდებოდა სტუდენტის დროებით მოტორულ შეზღუდვას და მოიცავდა საგანმანათლებლო სივრცის ინდივიდუალურ ადაპტაციას, ასევე ვიდეო ლექციების მომზადებას და სტუდენტისთვის გადაგზავნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები
- ბაუ-სტამბულის უნივერსიტეტის ვებ გვერდი (ინფორმაცია მედიცინის პროგრამის შესახებ)
- პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები;
- ინტერვიუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან / პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შედგება ინტეგრირებული დისციპლინების მოდულებისგან - 'ბლოკებისგან' და საგნობრივი კურსებისგან. პროგრამა იყენებს მრავალმხრივ შეფასების სისტემებს, რომელიც შეესაბამება კურსის/ბლოკის სწავლის შედეგებს. ცოდნის შეფასება ხდება სხვადასხვა ფორმის წერითი და ქეისზე დაფუძნებული გამოცდებით. უნივერსიტეტში ექსპლუატაციაში შევიდა სრულად კომპიუტერიზებული ახალი საგამოცდო ცენტრი, რომელიც იძლევა გამოცდების მეტად ორგანიზებულად ჩატარების საშუალებას. კვლევითი უნარების შესაფასებლად გამოიყენება პრაქტიკული/ლაბორატორიული შეფასების მეთოდები და კვლევითი პროექტი. პროგრამაში ასევე გამოყენებულია გვამთან მუშაობა, რა დროსაც ფასდება სტუდენტის როგორც თეორიული ცოდნა ასევე პრაქტიკული უნარები. ინტეგრირებული ბლოკებში გამოყენებულია PBL, CBL და ზეპირი შეფასების მეთოდები, რაც იძლევა ინტერდისციპლინური ცოდნის შეფასების საშუალებას. პროგრამა მნიშვნელოვნად არის ორიენტირებული კლინიკური უნარების განვითარებაზე. კლინიკური კურსების ჯგუფები შედგება 6-7 სტუდენტისგან რაც იძლევა პაციენტთან მუშაობის მეტ საშუალებას. სწავლების ზედა საფეხურზე

გამოყენებულია ისეთი თანამედროვე შეფასების მეთოდები, როგორიცაა მინი კლინიკური გამოკვლევის სავარჯიშო (Mini-CEX) და პროცედურები პირდაპირი დაკვირვებით (DOPS). პროგრამის ფარგლებში ინერგება ობიექტზე სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის დოკუმენტების შესწავლის შედეგად უნივერსიტეტს ესაჭიროება მინიმუმ 10 აქტიური OSCE-ის სადგური. ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას წარმოდგენილი იქნა საგამოცდო სივრცე, რომელიც იტევდა მხოლოდ 4 სადგურს. თუმცა უნივერსიტეტს აქვს OSCE-ის საგამოცდო სივრცის საკმარისად გაფართოვების საშუალება საგამოცდო პერიოდისთვის. აკადემიური პერსონალი ამ ეტაპზე სრულყოფილად არ იცნობს OSCE-ის სპეციფიკას, რისთვისაც უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს შესაბამისი ტრენინგები. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პერსონალის დროულად გადამზადება OSCE-ის სადგურების დაგეგმარებაში, მომზადებაში და გამოცდის ჩატარებაში.

პროგრამაში გამოყენებულია განმავითარებელი შეფასების მეთოდები. უკვე ნახსენები Mini-CEX-ის და DOPS-ის გარდა სტუდენტები ფასდებიან პორტფოლიოს მეშვეობით. პორტფოლიოს წარმოება სტუდენტის მიერ ხდება მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე და ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული და პიროვნული განვითარების შეფასებაზე. ზემოთ აღნიშნული შეფასების ინსტრუმენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურ, გამჭვირვალე და სამართლიან შეფასებას და ახდენს ცოდნისა და უნარების განვითარების სტიმულაციას.

მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ში მოქმდებს დეტალურად გაწერილი გამოცდების გასაჩივრების წესი უნივერსიტეტის ზოგიერთი ლექტორი არ იცნობდა გასაჩივრების პროცედურას კონკრეტულად ზეპირი გაოცდების ფორმების გამოყენების შემთხვევაში, რაც სავარაუდოდ დაკავშირებული იმასთან, რომ ამ ფორმის შეფასებების იმპლემენტაცია ახალია პროგრამაში და პრაქტიკაში ჯერ არ განოხრიცელებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები
- ბაუ-ბათუმის უნივერსიტეტის ვებ გვერდი
- პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები;
- გამოცდის ჩატარების წესი
- ინტერვიუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან / პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუები მედიცინის პრგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინფრასტრუქტურის დათვალიერება

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია აკადემიური/საგამოცდო პერსონალის გადამზადება OSCE-ის გამოცდის მომზადება/ჩატარებაში;

რჩევები:

- სასურველია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობა გამოცდების გასაჩივრების წესებთან დაკავშირებით.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
o უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. o უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ის რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტით "ადამიანური რესურსების მარტვის პოლიტიკა" (2019 აგვისტო) რომელიც არეგულირებს უნივერსიტეტში აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის დასაქმებას. დოკუმენტის მიხედვით უსდ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: თანასწორობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა და დამსახურებაზე ორიენტირებული მიდგომა. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს უსდ პერსონალის შერჩევას, დასაქმებას, საქმიანობის შეფასებას და პერსონალურ პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე მასწავლებელთა კვალიფიკაცია, უპირატესად შეესაბამება მოთხოვნებს.ხელშეკრულებაშია მითითებული. პროგრამის დანერგვას, შესრულებასა და შედეგების მიღწევაზე პასუხისმეგებელი პერსონალი ამ მიმართებით კომპეტენტურია. პერსონალის მიღება წარმოებს კონკურსის მეთოდით, გამჭვირვალეობის დაცვით. ინტერვიუირების მიხედვით გაირკვა რომ აკადემიური პერსონალის შერჩევა რეგულისრდება შესაბამისი წესით, აკადემიური პერსონალის საბოლოო შერჩევა და დასაქმება, დოკუმენტების ანალიზის და ინტერვიურების შედეგად ირკვევა, რომ რექტორის გადაწყვეტილებით ხდება. ყველა პერსონალის, როგორც აკადემიურის, ასევე ადმინისტრაციულის და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობა არის ხელშეკრულებაში ნათელი და კარგად გაზიარებული დამსაქმებლის მიერ. უნივერსიტეტს აქვს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, რომელიც შესაბამის ხელშეკრულებაშიც აისახება. უნივერსიტეტს ყავს მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 18 აკადემიური პერსონალი, 65 მოწვეული, აკადემიური პერსონალიდან 9 აფილირებულია. თუმცა რეესტრის მონაცემების მიცედვით 10 აკადემიური, აქედან 4 აფილირებული და 17 მოწვეული პერსონალია. უნივერსიტეტს აქვს ერთი ფაკულტეტი და ერთი პროგრამა. უნივერსიტეტი, ხარისხის სამსახურის მიერ ინიცირებულ კვლევებს ატარებს პერიოდულად დასაქმებული პერსონალის კმაყოფილების ხარისხის შეფასებისთვის და შემდგომ აკეთებს სათანადო რეაგირებას. უსდ უზრუნველყოფს აკადერმიურ პერსონალს სათანადო წახალისების პრინციპით, რომელიც შესაძლებელია გამოიხატოს როგორც თანხობრივად ასევე სხვადასხვა წამახალისებელი სიგელების თუ სერთიფიკატების სახით. აკადემიური პერსონალი ჩართულია საერთაშორისო კონფერენციაბსა თუ გაცვლით პროგრამებში, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილია უნივერსიტეტის მიერ და მსგავსი აქტიობა ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ. უნივერსიტეტს აქვს რამოდენიმე საერთაშორისო გაცვლითი პროექტი პერსონალისთვის, რომელიც მხარდაჭერილია ERASMUS+ მიერ, ასევე პერსონალი ჩართულია ბაუ ინტერნესენალის პროექტებში, რასაც თურქეთის მხარე უზრუნველყოფს.

უნივერსიტეტს აქვს დასახული სამიზნე ნიშნულები პერსონალის და პროგრამის განვიტარებისთვის რაც სტრატეგიული განვიტარების გეგმით დასტურდება.

აკადემიური პერსონალის, როგორც აფილირებულის ასევე მოწვეულის რაოდენობა რეესტრის და უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები
- მოთხოვნილი დოკუმენტაცია: აკადემიური პერსონალის დატვირტვია
- უსდ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024 წლები
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- აფილირების წესი
- ხელშეკრულებები გაფორმებული აკადემიურ, დამხმარე და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- კვლევის შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები:

- უმჯობესი იქნებოდა აკადემიური პერსონალის შერჩევის პროცედურაში აკადემიურ საბჭოს მეტი უფლება ქონდეს, ვიდრე რექტორის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის მარეგულირებელი დოკუმენტი (28.10.2016) რაც ასევე სქემატურად ასახავს აკადემიური პერსონალის სწავლების, სამეცნიერო მუშაობის და და სხვა აქტივობებს აკადემიურ პერსონალტან მიმარტებაში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესის დოკუმენტის გაგრძელებაა ამ პერსონალის ხელშეკრულება, სადაც ყველა კომპონენტზზე, სესაბამისად განსაზღვრულია ფინანსური ანაზღაურებაც. როგორც ზემოთ აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, რექტორი, დამფუძნებელტა კრებასთან ერთად უფლებამოსილია ინდივიდუალურად განსაზღვროს და დაადგინოს ნებისმიერი აკადემიური პერსონალის ანაზღაურება.

სტუდენტის და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა, სტუდენტთა კონტიგენტის სიმცირის გამო დამაკმაყოფილებელია. უნივერსიტეტს ასევე ყავს მოწვეული სპეციალისტები სადაც საჭიროება ხდება,

როგორც ადგილობრივი ასევე უცხოეთიდან, რაც პროგრამის მუდმივ განახლებას უზრუნველყოფს. ინტერვიუს მიხედვით, როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ პერსონალს არ გამოუთქვავს პრეტენზია ჯგუფების სიდიდესთან დაკავშირებით. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და დატვირთვა სწავლების პეოცესის ადექვატურია და უნივერსიტეტის მთელი პერსონალი მოტივირებულია შექმნას საუკეთესო პირობები სწავლისათვის და გავიდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამიზნე ნიშნულებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუს შედეგები • აკადემიური პერსონალის ხელშეკრულების ნიმუში • მოწვეული პერსონალის ხელსეკრულების ნიმუში • სტუდენტთა რაოდენიბის განსაზღვრის წესი • აკადემური პერსონალის დატვირთვის წესი • სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა და სტატეგია • დაგეგმილი კვლევები
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სტუდენტის სტატუსის მოპოვების და შეჩერების წესი და ასევე მობილობისთის აუცილებელი საფეხურები. სტუდენტების მიღება ხდება გასაუბრების და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოპოვებული ქულების საფუძველზე. გასაუბრება ინიშნება ერთიანი ეროვნული გამოცდების

ჩატარებამდე, რის დროსაც სტუდენტს ეძლევა საშუალება დამატებითი გრანტის მოპოვების რომელიც განისაზღვრება სწავლის ღიებულების 50% ან 30%-ის ოდენობით, რომელსაც შეიძლება დაემატოს სახელმწიფო გრანტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ნანახი სტუდენტთა კონტრაქტებისა და სესიების დროს მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროცესი არის განმჭირვალე და სტუდენტებს უწევთ კონკურენცია თანაბარ პირობებში.

BAU-სა და სტუდენტებს შორის გაფორმებული კონტრაქტი სრულად იცავს სტუდენტის ინტერესებს და არის კანონიერი. უსდ-ის ვიზიტის დროს სესიებზე დადასტურდა რომ სტუდენტებმა იციან გაფორმებული კონტრაქტის პირობები და მოვალოებები. BAU-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით უსდ მურმივად მუშაობს სტუდენტების განათლების და მათი კომფორტის უზურნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ინტერვიუ სესიებზე
- დანართი 6,18,27,45,64,75

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სესიებზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უსდ-ს თითოეული თანამშრომელი მაქსიმალურად არის ჩართული სტუდენტის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რათა გაუადვილოს და ხელი შეუწყოს მათ სწავლის პროცესში (იქიდან გამომდინარე რომ უნივერსიტეტის კამპუსი მდებარეობს ბათუმის ცენტრიდან შორს სადაც სტუდენტები ცხოვრობენ, უსდ-მ მიიღო გადაწყვეტილება რომ დანიშნოს სამარშუტო ტაქსი რომელიც უზრუნველყოფს მათ და ლექტორების ტრანსპორტირებას). კოორდინატორები მაქსიმალურად ახლოს იცნობენ სტუდნეტებს (რადგან მცირე რაოდენობით ჰყავთ) და მუდმივად აკონტროლებენ მათ ნიშნებს და აკადემიურ

მოსწრებას, რათა არ მოხდეს რომელიმე სტუდნეტის ჩამორჩენა. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სპეციალური ჯგუფები USMLE-ის გამოცდების ჩასაბარებლად რომელიც არის სრულიად უფასო.

სტუდენტები აქტიურად არის კვლევებში ჩართული, მათ რამდენიმე თემაც კი აქვთ დაწერილი და კონფერენციებზე გატანილი. ამჟამად უსდ-ს ბაზაზე არის სამი ლაბორატორია, სადაც სტუდენტები ეუფლებიან შესაბამის უნარჩვევებს და იგეგმება მე-4 კვლევითი ლაბორატორიის მოწყობა რაც დამატებით ხელს შეუწყობს როგორც სტუდენტების, ასევე ლექტორების ჩართულობას კვლევებში.

პირველკურსელ სტუდენტებს უტარდებათ გაცნობითი შეხვედრები. ყოველ წელს სტუდენტებს ელექტრონულ ფოსტაზე ეგზავნებათ ინფორმაცია ეთიკის კოდექსის შესახებ, ასევე აქვთ ინფორმაცია პლაგიატის პროგრამაზე რომ უნივერსიტეტში არის მსგავსი პროგრამა, თუმცა მისი გამოყენების და პლაგეატის აღმოჩენის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

BAU ხელს უწყობს სტუდენტების ექსტრაკურიკულურ აქტივობას, გამოყოფილი აქვთ სტუდენტური თვითმმართველობისთვის ბიუჯეტი რომელითაც ფინანსდება სხვადასხვა აქტივობებში სტუდენტების ჩართულობა. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევა ხდება არჩევნების საშუალებით და ასევე არჩევნების საშუალებით ხდება აკადემიური საბჭოს წევრი სტუდენტის არჩევა.

სტუდენტებს აქვთ საშუალება რომ თითოეული ლექტორი შეაფასონ კითხვარების საშუალებით რომელიც ყოველი საგნის გავლის შედმეგ ტარდება. უსდ-ში ტარდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა რომელიც მოიცავს არამარტო სასწავლო პროცესის შეფასებას ასევე გარემოს და უსდ-ს თანამშრომლებისასაც, კვლევის და სესიების დროს მიღებული ინფორმაცია ერთმანეთს ემთხვევა, როგორც უცხოელი ასევე ქართველი სტუდენტები აღნიშნავენ რომ მეგორბული გარემოა უნივერსიტეტში, სადაც ყველა ცდილობს მაქსიმალური თანადგომა გაუწიოს სტუდენტს. ამას მოწმობს ისიც რომ უნივერსიტეტის თანამშრომლები დაჰყვებიან უცხოელ სტუდენტებს იუსტიის სამინისტროში რათა მოაგვარონ მათი საქართველოში ყოფნის იურიდიული მხარე, ასევე გამოყოფილია კადრი რომელიც დაჰყვება სტუდენტებს კურაციების დროს და აფასებს მათ დასწრებას და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას. უსდ თავის სუდენტებს სთავაზობს სიცოცხლის დაზღვევას, ეხმარება უცხოელ სტუდენტებს აკომოდაციის პრობლემის აღოფხვრაში და უზრუნველყოფს იურიდიულ კონსულტაციას უსდ-ს იურისტთან.

სტუდენტების დატვირთვა საკმაოდ მაღალია, დასვენების დღე მხოლოდ კვირაა, შაბათ დღესაც ლექციები უტარდებათ, სტუდენტებს გამოთქვევენ უკმაყოფილებას თუმცა მიანც პოზიტიურად აფასებენ მათ სასწავლოს პროგრამასა და ლექციების განრიგს. სტუდენტებს და ლექტორებს ყოველი კვირის დასაწყისში ელექტრონულ ფოსტაზე ეგზავნებათ მომავალი კვირის განრიგი.

უსდ-ს ჰყავს 70-მდე სტატუს შეჩერებული სტუდენტი, სესიების დროს გაირკვა რომ ამ სტუდენტების დიდი ნაწილი უცხოელია, რომელთაც უარი ეთქვათ საქართველოში ბინადრობის მიღებაზე და მათი საქმე ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია. როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლები, ასევე სტუდენტები უარყოფენ სტუდენტის სტუსის შეწყვეტის მიზეზს ფინანსურ პრობლემას, ფინანსური მხარე მაქსიმალურად მოქნილია და მორგებულია სტუდენტს. სტუდენტები აღნიშნავენ რომ საკმაოდ ბევრ

უსდ-ს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტების დასაქმებას და ავრცელებს ინფორმაციას ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე ეხმარება იურიდიული მხარის მოგვარებაში, მაგალითად ორი სტუდენტი მუშაობს უსდ-ს ბიბლიოთეკაში, ხოლო სტუდენტებთან შეხვედრის დროს მათ დაადასტურეს რომ რამდენიმე მათგანს გაგზავნილი აქვს CV სხვადასხვა ვაკანსიაზე და ელოდებიან პასუხს.

უსდ უზურნველყოფს კურაციების დროს სტუდენტების წვდომას და ჩართულობას სხვადასხვა მანიპულაციის შესწავლა/დახელოვნებაში. ასევე სტუდენტებს აქვთ საშუალება დაესწრნონ ოპერაციებს ან იმორიგეონ კლინიკაში მათთვის სასურველ დეპარტამენტში.

საგამოცდი კითხვები შესაბამისობაშია იმასთან რასაც სტუდენტები სწავლობენ და თუ რომელიმე კითხვა არაკორექტულია ან სურს ქულის გასაჩივრება, ზუსტად იციან რა საფეხურები უნდა გაიარონ იმისთვის რომ მოხდეს მათი ქულის აპელაცია. აპელაციის შემთხვევაში ტესტს და სტუდენტის ნაშრომს ამოწმებს გარეშე პირი.

სტუდენტებს აქვთ სპორტული აქტივობები თუმცა უსდ-ს ბაზაზე არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, თუმცა უსდ-ს ადმინისტრაცია მზაობას გამოთქვამს მსგავსი აქტოვობების მხარდასაჭერად და სტუდენტებიც

ადასტურებენ ადმინისტრაციის პოზიციას, დაგეგმილია უსდს ტერიტორიაზე სპორტული აქტივობებისთვის შესაბამისი ინვენტარის განთავსება. უსდ-ს შენობა ადაპტირებულია შშ პირებისთვის,განთავსებულია პანდუსი როგორც შენობის გარეთ ასევე მის შიგნით. მოწყობილია შესაბამისი საპირფარეშო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტრატეგიული განვითარების გეგმა • ინტერვიუ ,სესიებზე • დანართი #6,18-27,21,22,23,29,53,64,75
რეკომენდაციები:
რჩევები: უკეთესი იქნებოდა გადაიხედოს ცხრილი რათა სტუდენტებს ქონდეთ საკმარისი დრო დასვენებისა და სწავლისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
o უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. o უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს, რომელიც ახორციელებს მაგისტრთან გათანაბრებულ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი სწავლის შედეგი წარმოდგენილია შემდეგნაირად: სტუდენტს „შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს ორიგინალური სამეცნიერო კვლევა, და შეაფასოს მიღებული შედეგები. სრულყოფილად ფლობს კვლევით მეთოდებს მედიცინაში და თვალს ადევნებს საკუთარ სფეროში სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მიღწევებს“. კურიკულუმში თავმოყრილია კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კომპონენტები: ლაბორატორიული აქტივობები, აკადემიური უნარები, კვლევის მეთოდები, სამეცნიერო პროექტზე მუშაობა და ა.შ. რომელიც განაწილებულია მთელ სასწავლო პროცესზე. აღნიშნული კომპონენტები სტუდენტს საშუალებას აძლევს დაეუფლოს სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, ისწავლოს სამედიცინო სყაროების

ეფექტური გამოყენება და შეასრულოს კვლევითი სამუშაო. სტუდენტები სწავლობენ კვლევის დაგეგმვას, წარმართვას, დაწერას და წარდგენას. სასწავლო კურსის „სამეცნიერო პროექტი 2" ფარგლებში სტუდენტი ლექტორის ხელმძღვანელობის ქვეშ ახორციელებს კვლევას და ახდენს მიღებული შედეგების საჯარო პრეზენტაციას. პროექტის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები შეესაბამება გამჭვირვალეობის და სამართლიანობის პრინციპებს.

უნივერსიტეტი ანვითარებს სამეცნიერო ინფრასტრუქტურას, კერძოდ ახდენს ლაბორატორიების აღჭურვას, რომელთა გამოყეება ასევე ხდება სასწავლო პროცესში. სტუდენტები ჩართული არიან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევით პროექტებში, ისევე როგორც აქვთ შესაძლებლობა კვლევითი სტაჟირება გაიარონ ბაუ-სტამბულის უნივერსიტეტის ბაზაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები;
- შეთანხმებები დაგეგმილი კვლევების შესახებ;
- ინტერვიუები მედიცინის პრგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა და სტრატეგია. აღნიშნული მოიცავს კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრას, კვლევითი პროექტების ინიცირებას და მათი დაფინანსების წყაროების მოძიებას, კვლევის საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციას, კვლევითი მუშაობის წახალისებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას, კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

უნივერსიტეტის სტრატეგიულ ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა კვლევითი კომპონენტებისთვის შემდეგი 5 წლის მანძილზე. დაფინანსება უშუალოდ კვლევითი აქტივობების გარდა მოიცავს: პერსონალის გადამზადებას, კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებას, კონფერენციების ჩატარებას და ინფრასტრუქტურის განვითარებას. მიმდინარე წლიდან უსდ-ს მიერ დამტკიცდა კვლევითი გრანტი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ პირს. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პროცედურა და შეფასების წესი

დეტალურად არის გაწერილი რომლის განხორციელებასაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. სამეცნიერო საგრანტო სისტემის შემოღება წინგადადგმული ნაბიჯია კვალიფიციური მკვლევარების რეკრუტირებისთვის უნვიერსიტეტში.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის წახალისებას კვლევითი საქმიანობის მიმართულებით. შრომით ხელშეკრულებებში გაწერილია სავალდებულო კვლევითი კომპონენტი, რომელიც უნდა შეასრულოს პერსონალმა. ასევე უზრუნველყოფილია მათი ნაშრომების გამოქვეყნების / კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯების მთლიანი ან ნაწილობრივი ანაზღაურება. აკადემიურ პერსონალს აქვს კვლევების უფრო ინტენსიურად განხორციელების და მასში სტუდენტების ჩართვის სურვილი უნივერსიტეტის ბაზაზე. უნივერსიტეტის ახლადდანიშნული რექტორი არის აქტიური მეცნიერი, რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს კვლევითი აქტივობის განვითარება უნივერსიტეტში. მისი ხელმძღვანელობით ამჟამად უნივერსიტეტში ხორციელდება უჯრედული კულტივაციის ლაბორატორიის შექმნა. ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში გეგმავს გამოყენებითი კვლევების განვითარებას პერსონალიზებული თერაპიის და ღეროვანი უჯრედების კვლევების მიმართულებით.

უნივერსიტეტს კოორდინატორის რანგში მოპოვებული აქვს Erasmus+ ის საერთაშორისო კოლაბორაციული გრანტი, რომელიც ეხება სამედიცინო განათლების განვითარებას და კვლევას. აღნიშნული პროექტი საშულებას მისცემს უნივერსიტეტს გააფართოვოს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან და შექმნას დამატებითი ფინანსური რესურსი კვლევისთვის და პერსონალის გადამზადებისთვის.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს უცხოელი, მათ შორის წარმატებული თურქი მკვლევარების ჩართულობას ბაუ-ბათუმის პროექტებში, თუმცა სასურველია მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდეს უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობაზე საზღვარგარეთის წამყვან კვლევით დაწესებულებებში.

უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს აქვთ მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ბაზებთან წვდომა, მათ შორის ბიბლიოთეკის ფარგლებს გარეთაც. აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფილია უსდ-ს პარტნიორი უნივერსიტეტის, ბაუ-სტამბულის მხრიდან ხელშეკრულების საფუძველზე.

უსდ-ს მიერ შექმნილი კვლევითი მიმართულების განვითარების სისტემა არის ეფექტური, თუმცა ახალი და მაღალი შედეგის მისაღწევად საჭიროებს ადმინისტრაციის მხრიდან პროცესის გრძელვადიან მხარდაჭერას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა, სტრატეგია და განხორციელების პროცედურები;
- ბიუჯეტი;
- პერსონალის ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ რექტორთან;
- ინტერვიუ დამფუძნებელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ საბჭოსთან;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ხელშეკრულებები პარტნიორ დაწესებულებებთან;
- Erasmums + საგრანტო ხელშეკრულება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის ლაბორატორიები;

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს უნივეერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობაზე საზღვარგარეთ.

რჩევები:

შეეცადოს ეტაპობრივად გაზარდოს სამეცნიერო კოლაბორაცია ნაციონალურ და ინტერნაციონალურ დონეზე.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო პროექტის მონიტორინგის და შედეგების შეფასების სისტემა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებს კლვევითი პროგრამის ყველა ეტაპზე, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული კვლევითი კონცეფციის მიხედვით.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ აკადემიური პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტებს წარმოადგენს კვლევითი საქმიანობა და ინტერნაციონალიზაცია. ამ კომპონენტების შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების საფუძველზე. დასასრულს პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პერსონალს წარუდგენს პროფესიული განვითარების გეგმას.

უსდ-ში განხორციელებული კვლევითი აქტივობების შეფასება და გამოქვეყნება ფრაგმენტირებულად ხდება სხვადასხვა ანგარიშებში (დეკანის ანგარიში, ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიში/აკად. პერსონალის შეფასება), რაც ართულებს ზოგადად უნივერსიტეტის კვლევითი შედეგიანობის შეფასებას. სასურველია სამეცნიერო პროდუქტიულობის ანგარიშები მომზადდეს ცალკე დოკუმენტების სახით, სადაც შეფასდება კვლევის სხვადასხვა კომპონენტი (აკადემიური პერსონალი, რესურსები, სტუდენტების ჩართულობა, და ა.შ.), რაც ხელს შეუწყობს მიმართულების განვითარებას.

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს კვლევითი პრიორიტეტები და გეგმავს კვლევითი მასშტაბის გაზრდას ამ კონკრეტული მიმართულებებით. განვითარებისთვის საშუალოვადიან პერსპექტივაში მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს კონკრეტულ სფეროებთან დაკავშირებული კვლევითი ერთეულები, რისთვისაც საჭირო გახდება სამეცნიერო პროდუქტიულობის და ხარისხის შეფასების მექანიზმების შემუშავება. აღნიშნული მექანიზმი ხელს შეუწყობს განხორციელებული ინვესტიციის ეფექტურობის განსაზღვრას და რესურსების პრიორიტეტულ კონცენტრაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა, სტრატეგია და განხორციელების პროცედურები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- დეკანის ყოველწლიური ანგარიშები;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, რომ უსდმ მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ჯამური ანგარიშები.

რჩევები: სასურველია კვლევითი მიმართულებების/ერთეულების ჩამოყალიბება უნივერსიტეტში და მათი შეფასების მექანიზმების შემუშავება სამეცნიერო აქტივობის, ხარისხის და ხარჯეფექტურობის თვალსაზრისით.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. o დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. o დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. o დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ მფლობელობაში აქვს იჯარით აღებული შენობა ნაგებობა 3027 კვადრატული მეტრი, 5 წლის ვადით, რომელიც ამ ეტაპზე პროგრამის განხორციელებისათვის ადექვატურია. მატერიალური რესურსები, რომელიც წარმოდგენილი იყო ფინანსური დოკუმენტების სახით და ინფორმაცია რომელივ მივიღეთ ინტერვიურების პროცესში ასევე ადექვატურია სტუდენტთა ამ კონტიგენტისთვის არსებული პროგრამის განხორციელებისატვის. უნივერსიტეტში არის სატანადო ინფრასტრუქტურა, რაც განსახორციელებელი საგანმანატლებლო საქმიანობისთვის ადექვატურ შესაძლებლობას იძლევა და შეესაბამება მოთხოვნებს. უსდ გააჩნია ადაპტირებული გარემო სპეციალური შესაძლებლობების პირთათვის, თუმცა ამ ეტაპზე ასეთი საჭიროება ჯერ არ დამდგარა. უნივერსიტეტში დაცულია სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების ნორმები, რაც დასტურდება სატანადო დოკუმენტებით. სტუდენტთა და პერსონალის უსაფრტხოებაზე ზრუნავს დაცვის სამსახური, შიდა სივრცე კონტროლდება სამეტვალყურეო კამერების სიტემით. პრობლემურია უსდ გარე სივრცე, რომლის მეთვალყურეობა არ არის უზრუნველყოფილი მტელს პერიმეტრზე. უსდ არის ექიმის ოთახი, აღჭურვილი საჭირო პირველადი დახმარების მედიკამენტებით, თუმცა სტანდარტით გათვლილ მოთხოვნებს არ შეესაბამება. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა რომ შენობა ნაგებობა უსაფრთხოების სტანდარტითაა დაპროექტებული და არ შეიცავს საფრთხეს პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები კლინიკებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტებს სათანადო სასწავლო გარემოთი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები
- ბაუ შენობა ნაგებობების დასკვნა
- ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგები
- კლინიკების მონახულება
- მემორანდუმები გაფორმებული კლინიკებტან
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- მემორანდუმები კვლევიტ სამეცნიერო ობიექტებთან
- გათბობისა და ვენტილაციის გამარტულობა
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომები
- პროექტი და საევაკუაციო გეგმა
- ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოებისათვის გარე სამეთვალყურეო სისტემის მოწესრიგება, ის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს.
- უსდ ამ ეტაპზე არ აქვს სათანადო მოტხოვნების გათვალისწინებით აღჭურვილი OSCE საგამოცდო სადგურები, რაც მოთხოვნების შესაბამისად უნდა არსებობდეს.

რჩევები:

მიუხედავად იმისა, რომ პოლიპროფილური კლინიკა, გადაუდებელი მიმღებით ფაქტიურად იგივე სივრცეშია, უმჯობესია უსდ ქონდეს შესაბამისი მოთხოვნებით გამართული ექიმის კაბინეტი.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შესაბამისობაშია მოთხოვნებტან, მისი წიგნადი ფონდი მუდმივად განახლებადია და შეიცავს სილაბუსსი გათვალისწინებულ ლიტერატურას, რომელიც წარმოდგენილია როგორც მყარი ასევე ელექრონული სახით. ის აღწურვილია სათანადო დამხმარე აოარატურით, სამკითხველო დარბაზებით, შეხვედრის და საპრეზენტაციო კუტხეებით, კომპიუტერებით და ყველა იმ ინვენტარით რაც საჭიროა საწავლო პროცესის ოპტიმალური წარმარტვისათვის. ბიბლიოტეკაში ტვალსაჩინო ადგილზე არის გამოკრული სარგებლობის წესები.

ვიზიტის დროს დადასტურდა ელექტრონული ბიბლიოთეკის არსებობა და წვდომა მნიშვნელოვან საერთაშორისო საბიბლიოთეკო რესურსებტან, რომელიც აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია და უფასო: Elsevier, uptodate, Thieme და ყველა იმ რესურსზე, რითიც სარგებლობს BAU გლობალი.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, გადამოწმების დროს, დათვალიერებისას, უპირატესად იძებნებოდა უსდ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში ან ინახებოდა წიგნის სახით საცავში.

ბიბლიოტეკის თანამშრომლების რაოდენობა საკმარისია, მის ხელმზღვანელს აქვს სატანადო კვალიფიკაცია და აღსანისნავია რომ დამატებითი კადრის სახით, ბიბლიოტეკაში დასაქმებულია უნივერსიტეტის სტდენტები.

ბიბლიოთეკის სამუშაო საათები და ხანგრძლიობა სეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები
- დათვალიერება
- ბიბლიოთეკის დებულება
- წიგნადი ფონდი
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ცართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ბიბლიოთეკის სტატისტიკა
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- უსდ ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ სექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და ფუნქციონირებს მარტვის ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისების სისტემა, სტუდენტთა რეგისტრაციისა და აკადემიური მოსწრების აღრიცხვისთვის. ინფორმაციული სისტემა დაცულია ერთი სერვერით. სისტემის გამართულ მუშაობზე პასუხისმგებელი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამშრომელი. მართვის ელექტრონული სისტემა, როგორც ინტერვიუს შედეგებით ირკვევა ახალია და მუშაობს გარკვეული ხარვეზებით.

უნივერსიტეტში, მთელ პერიმეტრზე ხელმისაწვდომია უსადენო ინტერნეტის ქსელი.

უნივერსიტეტს გააჩნია ვებ გვერდი, რომელიც სამენოვანია, ქართული, ინგლისური და რუსული. ვებ გვერდი განახლებულია და ფუნქციონირებს გამარტულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები
- დათვალიერება
- მართვის ელექტრონული სისტემა (დოკუმენტები)
- ხელსეკრულება ინტერნეტ პროვაიდერტან
- საქმისწარმოების წესი

რეკომენდაციები:

- მართვის ელექტრონული სისტემის გამართვა, რაც ინფორმაციის მართვას უფრო ეფექტურს და გამჭვირვალეს გახდის.
- ინფორმაციის შნახვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირებისაგან ვერ იქნა მიღებული დამაჯერებელი ინფორმაცია, ამ სისტემების დაცულ მუშაობასთან დაკავშირებით.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების ანალიზის შედეგად ირკვევა რომ უნივერსიტეტის შემოსავლების დინამიკა ზრდადია, რასაც ძირიტადად სტუდენტების მიერ შემოტანილი თანხები განაპირობებს. უნივერსიტეტის ძირიტადი აქტივი, შედგება სამი ნაწილისგან, ეს არის შემოსავლები,

გრძელვადიანი სესხი და მფლობელტა კაპიტალი (1,703628+ 2,130572+ 3,884079) რაც ჯამურად ამმოცულობის უნივერსიტეტისთვის და მისი სტანდარტით გაწერილი მოთხოვნების შესასრულებლად საკმარისია. მენეჯმენტის ჯგუფს მიმართ დასმული იყო კითხვები კრედიტის თანხის მოცულობის და მისი რისკების შესახებ, რაზეც მოპოვებული დოკუმენტის მიხედვით და ინტერვიუს დროს პასუხი იყო მიღებული, რომ კრედიტი წარმოადგენს მხოლოდ ფინანსურ გარანტიას და ის არ არის ზრდადი და არ მოითხოვს არანაირ ფინანსურ გარანტიებს და არ შეიცავს რისკებს. აღნიშნული საკმაოდ დიდი მოცულობის ფინანსური აქტივი, გამოყოფილია უნივერსიტეტის განვიტარებისთვის და მის ასათვისებლად საჭიროა მხოლოდ დასაბუტებული რეალისტური მოთხოვნა. ბოლოს აღებული კრედიტის დიდი წილი, უნივერსიტეტის საჭიროებებზე არის დახარჯული. ბიუჯეტი სტრატეგიული განვიტარების გეგმას გათვალისწინებიტ არის გაწერილი, სადაც ყველა აუცილებელ აქტივობაზე ხარჯი საკმარისად არის გადანაწილებული, არსებული სტუდენტთა კონტიგენტის პირობებში და მოსალოდნელი ზრდის გათვალისწინებით. (კვლევითი, საბიბლიოთეკო, შათანადი აღჭურვის და ინვენტარის შეძენა) უმჯობესი იქნებოდა უსდ-ში არსებობდეს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის მეტად გამჭვირვალე სისტემა. მიუხედავად იმისა რომ წარმოდგენილია უსდ მიერ სააღრიცხვო პოლიტიკა, საკითხი მეტ გამჭვირვალეობას მოითხოვს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუს შედეგები • ინფრომაცია დაფინანსების წყაროს სესახებ • უსდ ბიუჯეტი • დაფინანსების დინამიკა 5 წლის • სააღრიცხვო პოლიტიკა
რეკომენდაციები: ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა დასახვეწია, გამჭვირვალეობის თვალთახედვით.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1						
2						
3						
4						
5						